ხელშეკრულება №219
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 16 ოქტომბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის თემურ ჩუბინიძის სახით (რეკვიზიტები: მის. ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი #3, საიდენთიფიკაციო კოდი 219636259, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში)

მეორე მხრივ შპს „ტრანსიმერი“ წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ფართლაძის სახით (რეკვიზიტები: მის. ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.N1, საიდენთიფიკაციო კოდი 431948609, ტელეფონის ნომერი 598230051 მომსახურე ბანკი ს.ს. ,,თიბისი ბანკი“, ბ.კ.TBCBGE22 ა.ა. GE88TB7580636020100006)

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ავტომანქანის PP 080 OO ტექნიკური დათვალიერების მომსახურების მიწოდება (შემდგომში "მომსახურება").
1.2. CVP კლასიფიკატორის კოდი 71631200 (ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება)

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 60,00 (სამოცი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის N1
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 10 ნოემბრამდე.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1 ,,მიწოდებულისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა
6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 04 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მხარეთა ხელმოწერები

ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი

შპს „ტრანსიმერი“

Giorgi Partladze

Digitally signed by Giorgi Partladze
DN: cn=Giorgi Partladze, serialNumber=21001004180, o=Citizen, c=GE
Date: 2019.10.16 14:14:52 +04'00'